ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4559984

ნომერი: AR1685252

თარიღი : 04.06.2019

გაცემის თარიღი : 25.06.2019

გაცნობის თარიღი : 25.06.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თ. ერისთავი , N 10 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ერისთავის , (მაგნიტოგორსკის) , N 6-8 ; ქალაქი თბილისი , ერისთავის ქ. N6-8 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა თ. ერისთავი , N 2;

დამკვეთი-განმცხადებელი
- სიმონ ჩინჩალაძე პ/ნ 01019008220
- თბილისი იმერეთის ქ. N 93ა

ორგანიზაცია:
- ს/ს ''უნივერსალი'' კოდი: 200004921

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 01 თებერვლის №4358048 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 04 ივნისს NAR1685252 განცხადებით მომართა სიმონ ჩინჩალაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2019 წლის 01 თებერვლის №4358048 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 01 თებერვლის №4358048 ბრძანებით შეთანხმდა ქალაქი თბილისი, ქუჩა თ. ერისთავი, N10; ქალაქი თბილისი, ქუჩა ერისთავის, (მაგნიტოგორსკის), N6-8; ქალაქი თბილისი, ერისთავის ქ. N6-8; ქალაქი თბილისი, ქუჩა თ. ერისთავი, N 2 საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.12.12.001.155), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, 2019 წლის 24 მაისის № 4514112 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 24 მაისიდან 2019 წლის 24 ნოემბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2019 წლის 01 თებერვლის №4358048 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საზაფხულო ფართობი 1722.39 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 1756.92 კვ.მ. საერთო ფართობი 17590.57 კვ.მ-ის ნაცვლად 17625.1 კვ.მ. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული შეცდომის გასწორებას. განმცხადებლის მიერ ასევე წარმოდგენილია შესაბამისი გეგმები.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ფართობები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლების მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 01 თებერვლის №4358048 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საზაფხულო ფართობი: 1756.92 კვ.მ. საერთო ფართობი: 17625.1 კვ.მ.
2. სამსახურის 2019 წლის 01 თებერვლის №4358048 ბრძანებით შეთანხმებული +52.01 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 01 თებერვლის №4358048 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 01 თებერვლის №4358048 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.